დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საჯარო პოლიტიკა და მმართველობა, მაგისტრატურა

შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში

შეფასების თარიღ(ებ)ი: 27/02/2023

დასკვნის წარდგენის თარიღი: 18/04/2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 8

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 16

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 23

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 28

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 36

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	405365698
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფარსადანიშვილი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დოლიძე, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიგა ხოსიტაშვილი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ფარეშიშვილი, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	საჯარო პოლიტიკა და მმართველობა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Public Policy and Administration
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა (უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საჯარო მმართველობის მაგისტრი Master of Public Administration
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

საჯარო პოლიტიკა და მმართველობა არის ახალი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.
პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა დემოკრატიული ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების საქმიანობის და მშენებლობის შესახებ, რათა ეთიკურად და კომპეტენტურად წარმართონ, მართონ და ემსახურონ საჯარო ინტერესებს ეროვნულ და ადგილობრივ ხელისუფლებაში, სამოქალაქო, კვლევით და საერთაშორისო ორგანიზაციებში; პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ მოწყვლად სოციო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოში, მტკიცებულებებზე დაფუძნებით, კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღება ეთიკურ ღირებულებებზე დაყრდნობით.
პროგრამის კურიკულუმი მოიცავს 120 ECTS კრედიტს საიდანაც 105 კრედიტი ნაწილდება სავალდებულო ხოლო 15 არჩევით საგნებზე. პროგრამაზე სწავლა მიმდინარეობს 4 სემესტრის განმავლობაში. საგნების სწავლება ხდება პირველ სამ სემესტრში ხოლო მეოთხე, დასკვნითი სემესტრი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებას და დაცვას.
პროგრამის სტრუქტურა აგებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ეტაპობრივად, მარტივიდან რთულის, ზოგადიდან კონკრეტულის მიმართულებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 10 თებერვლის №154761 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შპს - „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „საჯარო პოლიტიკა და მმართველობა“ შესაფასებლად აკრედიტაციის ვიზიტი უსდ-ში განახორციელა 2023 წლის 27 თებერვალს.
აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უსდ-ს რექტორს, რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ფაკულტეტის დეკანს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებს, დამსაქმებლებს, ბიბლიოთეკის წარმომადგენლებს.
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები და ა.შ.) დათვალიერება განხორციელდა უშუალოდ აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობის დროს. სამუშაო ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. ვიზიტის მსვლელობისას ჩატარებული შეხვედრები და პროგრამაზე თანდართული დოკუმენტების შეფასება საკმარისი აღმოჩნდა ექსპერტთა ჯგუფისთვის, რომ დეტალურად განეხილა პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე სტანდარტებთან.

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **რეკომენდაციები**

  რეკომენდებულია, კურიკულუმს დაემატოს შედარებითი კონსტიტუციური და შედარებითი ადმინისტრაციული სამართლის სასწავლო კურსები.

  რეკომენდებულია, დაწესებულების ვებ-გვერდზე, ბიბლიოთეკის ნაწილში სამენციერო ბაზების გამოყენების წესის შესახებ, არსებობდეს ინფორმაცია (წვდომის რა მექანიზმები არსებობს, როგორ უნდა მოიქცეს დაინტერესებული პირი), რათა ნებისმეირმა სტუდენტმა და/ან პროფესორმა მოახერხოს მოცემული რესურსებით სარგებლობა და გამოყენებისას ყოველ ჯერზე არ მოუხდეს ბიბლიოთეკის თანამშრომელთან კომუნიკაცია.

  რეკომენდებულია, კურსების „პოლიტიკის დოკუმენტების წერა“ და „პოლიტიკის დაგეგმვა, რისკების მართვა“ გაერთიანდეს და მოხდეს თემების კონსოლიდაცია.

  რეკომენდებულია, კურსებისთვის „პოლიტიკის დოკუმენტების წერა“ და „საჯარო პოლიტიკის თეორია და ფორმირება“ სასწავლო ლიტერატურის დივერსიფიცირება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

საგნებში საჯარო პოლიტიკის თეორია და ფორმირება; რეფორმები და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია; პოლიტიკის დაგეგმვა, რისკების მართვა და განხორციელება; განათლების პოლიტიკა და მართვა (არჩევითი) სასურველია, ერთ ლექციაზე განსახილველი საკითხების რაოდენობის შემცირება ან ლექციისთვის განკუთვნილი დროის გაზრდა.

სასურველია, ლიტერატურის შესყიდვის (ან ნებისმიერი სხვა შესყიდვისას) პროცესში მინიმუმადე იქნეს დაყვანილი ინტერესთა კონფლიქტის გარემოება, რაც საფრთხის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს მთლიანად პროცესისთვის.

სასურველია, სასწავლო კურსში „რეფორმები და ეკონომიკური განვითარება“ შემცირდეს სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ს არგუმენტაციას და არ იზიარებს რეკომენდაციებთან მიმართებით წარმოდგენილ პოზიციას, კერძოდ შემდეგი ორი რეკომენდაცია გაცემულ იქნა პროგრამის კურიკულუმისა და სილაბუსების დეტალური შესწავლისა და შესაბამის პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე:

- რეკომენდებულია, კურსების „პოლიტიკის დოკუმენტების წერა“ და „პოლიტიკის დაგეგმვა, რისკების მართვა“ გაერთიანდეს და მოხდეს თემების კონსოლიდაცია.
- რეკომენდებულია, კურსებისთვის „პოლიტიკის დოკუმენტების წერა“ და „საჯარო პოლიტიკის თეორია და ფორმირება“ სასწავლო ლიტერატურის დივერსიფიცირება.

აქედან გამომდინარე ექპერტთა ჯგუფი მიიჩენვს, რომ უსდ თავიდან აიცილებს სასწავლო კურსებს შორის თემატური გადაფარვის შესაძლო რისკს და ლიტერატურის დივერსიფიცირებით უზუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე არ იზიარებს უსდ-ს პოზიციას შემდეგ რეკომენდაციასთან მიმართებით:

- რეკომენდებულია, კურიკულუმს დაემატოს შედარებითი კონსტიტუციური და შედარებითი ადმინისტრაციული სამართლის სასწავლო კურსები.

სასწავლო კურიკულუმში სამართლის კომპონენტის გაძლიერება მნიშვნელოვანია პროგრამის ინტერდისციპლინურობის უზრონველყოფისათვის, განსაკუთრებით იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე ასევე ისწავლიან უცხოელი სტუდენტები რომელთათვისაც მნიშვნელოვანია ქართული სამართლებრივი რეალობის მიღმა არსებული იურიდიული ლიტეტარტურის გაცნობა და შესაბამისი იურიდიული აზროვნების უნარების შეძენა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის მისიისა და ღირებულებების გათვალისწინებით, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

- სტუდენტებს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა დემოკრატიული ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების საქმიანობის და მშენებლობის შესახებ, რათა ეთიკურად და კომპეტენტურად წარმართონ, მართონ და ემსახურონ საჯარო ინტერესებს ეროვნულ და ადგილობრივ ხელისუფლებაში, სამოქალაქო, კვლევით და საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- გამოუმუშავოს მოწყვლად სოციო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოში, მტკიცებულებებზე დაფუძნებით, კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღების ხედვა, კომპეტენციები და უნარები;
- ჩამოუყალიბოს ფართო მსოფლმხედველობა, ეთიკურ ღირებულებებზე დაფუძნებით, კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების ძიებისათვის და შედეგების ეფექტურ კომუნიკაციისთვის საჯარო/საზოგადოებრივ სივრცეში.

პროგრამის მოცემული მიზნები შესაბამისად ხელს უწყობს პროგრამის კურსდამთარებულებისათვის ისეთი უნარების გამომუშავებას როგორებიცაა: სახელმწიფოს მოწყობის/ფუნქციონირების კრიტიკული ასპექტების და ფაქტორების განსაზღვრა; სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავების ასპექტების განსაზღვრა და დაგეგმვა; პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის დამოუკიდებლად გაძღოლა და სხვა.

პროგრამის მიზნებისა და კურსდამთარებულებისათვის შესაბამისი უნარების გამომუშავებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სფეროს განვითარებისათვის, რადგან როგორც მიზნები ასევე კურსდამთარებულებისათვის გამოსამუშავებელი უნარების მოცემული მოდელი სიღრმისეულად და მრავალმხრივად გადმოსცემს სფეროსთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე კომპონენტებს, რაც ასევე თავსებადია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რეალისტურია და მიღწევადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- უნივერსიტეტის მისია
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, ასევე, მასზე თანდართული დოკუმენტაციის და პროგრამის თანახმად დგინდება, რომ სწავლის შედეგები განსაზღვრავს იმ საკვანძო მიმართულებებს, რომლებიც პროგრამის მიზნებთან თანხვედრაში უზრუნველყოფენ შესაბამისი კვალიფიკაციისათვის საჭირო უნარების გამომუშავებას.
პროგრამაში ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების შესაბამისად, კურსდამთავრებული:

- განსაზღვრავს სახელმწიფოს მოწყობის/ფუნქციონირების კრიტიკულ ასპექტებს და ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს საჯარო სექტორში კომპლექსური გადაწყვეტილების მიღების პროცესზე;

- სიღრმისეულად აანალიზებს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის აუცილებელ ფუნდამენტურ პრინციპებს და არჩევს თანამედროვე მმართველობითი სტანდარტის შესაბამის მახასიათებლებს;
- არჩევს საჯარო ფინანსების ძირითად მახასიათებლებს, განსაზღვრავს და გეგმავს სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავების ასპექტებს;
- სიღრმისეულად აანალიზებს საჯარო პოლიტიკის ფუნდამენტურ საკითხებს, ახდენს მათ ფორმულირებას და დამოუკიდებლად უძღვება პოლიტიკის დაგეგმვის პროცესს;
- განასხვავებს ორგანიზაციის მართვის თანამედროვე მიდგომებს და იყენებს მათ საჯარო სივრცეში არსებული ორგანიზაციის მართვის პროცესში;
- კვლევის მეთოდებზე დაყრდნობით, აანალიზებს და თანამედროვე მონაცემთა ბაზების გამოყენებით ამუშავებს დიდი მოცულობის ინფორმაციას, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად;
- დამოუკიდებლად აფასებს ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევებს და ახდენს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ფორმულირებას;
- ეთიკური ღირებულებების გათვალისწინებით, ეძებს საჯარო პოლიტიკის კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზებს და ახდენს მათ ეფექტურ კომუნიკაციას როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე საჯარო/საზოგადოებრივ სივრცეში.

აღნიშნული სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, მიღწევადია და რეალისტური. შედეგების მიღწევა მეტწილად განპირობებულია პროგრამის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზირებით, ამ მიმართულებით შესაბამისადაა დაჯგუფებული პროგრამის სასწავლო კომპონენტი.

უსდ-ში საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებაში ჩართულია პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე სტუდენტები, რომლებიც იღებენ სისტემატურ უკუკავშირს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე. დაინტერესებულ პირთა გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე, ხარისხის მართვის სამსახური საკითხის შინაარსიდან გამომდინარე უსდ-ს ადმინისტრაციის წარმომადგელებთან ერთად ახდენს შესაბამის მხარეებთან კომუნიკაციისა და სამომავლო თანამშრომლობის ასპექტებზე შეჯერებას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო პოლიტიკის და მმართველობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საჯარო პოლიტიკის და მმართველობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა არის ახალი და მას ჯერ არც სტუდენტი ყავს და არც კურსდამთავრებული, თუმცა პროგრამაზე თანდართულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ამსახველი დოკუმენტაცია და შესაბამისი გამოკითხვების შედეგები რომლებიც უსდ-მ განახორციელა სხვა მოქმედ პროგრამებთან მიმართებით.

აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა და პროგრამაზე თანდართულმა დანართებმა გამოკვეთა, რომ უსდ-ში მოქმედებს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც საგანამანათლებლო პროგრამებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს აფასებს, როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი მეთოდებით.

პროგრამაზე თანდართული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტის თანახმად, განიმარტება, რომ შეფასების პირდაპირი მეთოდი გულისხმობს:

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასებასა და ანალიზს სტუდენტის საბოლოო შეფასების შედეგებზე დაკვირვებით და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას წინასწარ განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან მიმართებით. პროგრამისთვის გაწერილი სამიზნე ნიშნულები გულისხმობს, რომ სწავლის შედეგი მიიჩნევა მიღწეულად, თუ მინიმუმ 80-% ფასდება 51 და მეტი ქულით. მოცემული სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელი იკვლევს მიზეზებს და ახდენს შესაბამის რეაგირებას.

პროგრამის შეფასების არაპირდაპირი მეთოდი ეყრდნობა:

პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების დინამიკას; პროგრამის დასრულების მაჩვენებელს; პროგრამაზე მობილობის მაჩვენებელს; კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკას, მათ შორის სპეციალობის მიხედვით; დაინტერესებული მხარეების (კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვის შედეგები (როგორც ელექტრონული, ისე „მრგვალი მაგიდის“ პრინციპით). გამოკითხვისა თუ ინტერვიუს შედეგად გამოვლენილი საყურადღებო

შემთხვევა განიხილება პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის მიერ ადმინისტრაციასთან ერთად და იგეგმება პროგრამაში შესაბამისი ცვლილების განხორციელების საკითხი.

მოცემული მიდგომა ხელს უწყობს პროგრამის განვითარების დინამიური პროცესის უზრუნველყოფას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა და თანდართული დოკუმენტაცია
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- თვითშეფასების ანგარიში
- აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია უსდ-ში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების“ შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამა 120 ECTS კრედიტიანია. კრედიტები ნაწილდება 15 სავალდებულო კურსზე (თითოეული არის 5 კრედიტიანი), სავალდებულო კომპონენტზე - სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი) და 7 არჩევით კურსზე (თითოეული არის 5 კრედიტიანი).

პროგრამა არის ინტერდისციპლინური და შედგება კომპლექსური სასწავლო კურსებისაგან, რომელთა გადანაწილება ლოგიკურია, თანმიმდევრულია და მიმართულია მარტივიდან რთულისაკენ, ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ერთობლიობა გამოკვეთს პროგრამის განსაკუთრებულობას და აგებულია სფეროს თანამედროვე მიღწევებზე.

აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა და უსდ-ს ზოგადი მიდგომის ანალიზმა ცხადყო, რომ პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის შემუშავებისას განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ინტერნაციონალიზაციის მიზანზე და პროგრამაზე უცხოელი სტუდენტების მოზიდვაზე. შესაბამისად ჩამოყალიბდა სასწავლო კურსებიც თუმცა უნდა აღინიშნოს რომ პროგრამაში გასაძლიერებელია სამართლის კომპონენტი (იხ. სტანდარტი 1.5).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა და სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- აკრედიტაციის ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის კურიკულუმით გაწერილია სასწავლო კურსები. თითოეული სასწავლო კურსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილია 5 კრედიტი. სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამავე კურსების სწავლის შედეგებს;

სასწავლო კურსებისათვის კრედიტების მინიჭება ხდება უსდ-ში მოქმედი წესების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში გამოყენებული ძირითადი სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები გულისხმობს შემდეგს: ლექცია; სემინარი; პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა) და სხვა.

აღნიშნული სწავლის მეთოდები მოცემულია პროგრამის კურიკულუმში და შესაბამის სილაბუსებში და უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის კურიკულუმით და სასწავლო კურსების სილაბუსებით ასევე გაწერილია სტუდენტთა ცოდნის შეფასების შესაბამისი კომპონენტები და კრიტერიუმები.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, ისევე, როგორც საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა განსაზღვრულია კურსის სირთულის, შინაარსისა და მისაღწევი შედეგების შესაბამისად.

სასწავლო კურსების სილაბუსები აგებულია კურსით მოცული საკითხების გარშემო არსებულ განახლებულ გამოცემებზე დაყრდნობით.

კურიკულუმი გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცების გათვალისწინებით, მოიცავს შემდეგ სავალდებულო კურსებს: I სემესტრი - პოლიტიკის დოკუმენტების წერა; საჯარო პოლიტიკის თეორია და ფორმირება მონაცემთა ანალიზი; რეფორმები და ეკონომიკური განვითრების სტრატეგია; თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკა და მართვა. II სემესტრი - პოლიტიკის დაგეგმვა, რისკების მართვა და განხორციელება; დემოკრატიული მმართველობა და ანგარიშვალდებულება; პროექტების მართვა კომპლექსურ გარემოში; დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობა; საგარეო პოლიტიკის ფორმირება და მართვა: აშშ საგარეო პოლიტიკა და ნატოში ინტეგრაცია. III სემესტრი - საჯარო მართვა და ლიდერობა; საჯარო ფინანსები და ბიუჯეტირება; პოლიტიკის კომუნიკაცია, ადვოკატირება და მოლაპარაკებები; ევროპავშირში ინტეგრაცია და დემოკრატიული რეფორმების დღისწესრიგი; კვლევის მეთოდები.

სასწავლო კურსების სილაბუსების დეტალური ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროგრამაში სამართლის კომპონენტი გასაძლიერებელია. არ არის წარმოდგენილი

კონსტიტუციური სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის კომპონენტები, რაც მნიშვნელოვანია მომავალი საჯარო მოხელისათვის.
აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოკვეთა, რომ უსდ-ს მიზანს წარმოადგენს პროგრამაზე უცხოელი სტუდენტების მოზიდვა, ინტერნაციონალიზაცია.
იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე ქართველ სტუდენტებთან ერთად ისწავლიან უცხოელი სტუდენტებიც, რეკომენდებულია, კურიკულუმს დაემატოს შედარებითი კონსტიტუციური და შედარებითი ადმინისტრაციული სამართლის სასწავლო კურსები. აღნიშნული სასწავლო კურსები თანაბრად საინტერესო და მნიშვნელოვანია მომავალი საჯარო მოხელისათვის, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა უწევდეს მოღვაწეობა.
ამასთანავე, რამდენიმე სილაბუსში, კერძოდ: საჯარო პოლიტიკის თეორია და ფორმირება; რეფორმები და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია; პოლიტიკის დაგეგმვა, რისკების მართვა და განხორციელება; განათლების პოლიტიკა და მართვა (არჩევითი) - სასურველია ერთ ლექციაზე განსახილველი საკითხების რაოდენობის შემცირება ან ლექციისთვის განკუთვნილი დროის გაზრდა, რადგან ერთ საათში მოცემული მოცულობის მასალის დაძლევა რთული იქნება სტუდენტებისთვის.
ამასთანავე კურსებს „პოლიტიკის დოკუმენტების წერა“ და „პოლიტიკის დაგეგმვა, რისკების მართვა“ საერთო თემატიკა და მიზნები აქვთ, კერძოდ - ქმნის პოლიტიკის დოკუმენტებს; იცის მოქმედი პოლიტიკის დოკუმენტების ტიპები და სტრუქტურები; სტრატეგიული გეგმების ანალიზი. რეკომენდებულია, რომ ეს კურსები გაერთიანდეს და მოხდეს თემების კონსოლიდაცია. რაც შეეხება კურსების „პოლიტიკის დოკუმენტების წერა“ და „საჯარო პოლიტიკის თეორია და ფორმირება“ შედარებას უნდა აღინიშნოს, რომ ორივე გადის 629-ე დადგენილებას, შესაბამისად რეკომენდებულია მოხდეს სასწავლო ლიტერატურის დივერსიფიცირება.
სასწავლო კურსში „რეფორმები და ეკონომიკური განვითარება“ 30 ძირითადი წყაროა, 23 დამატებითი მითითებული, სასურველია მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობის შემცირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კურიკულუმს დაემატოს შედარებითი კონსტიტუციური და შედარებითი ადმინისტრაციული სამართლის სასწავლო კურსები.
- რეკომენდებულია კურსების „პოლიტიკის დოკუმენტების წერა“ და „პოლიტიკის დაგეგმვა, რისკების მართვა“ გაერთიანდეს და მოხდეს თემების კონსოლიდაცია.
- რეკომენდებულია კურსებისთვის „პოლიტიკის დოკუმენტების წერა“ და „საჯარო პოლიტიკის თეორია და ფორმირება“ სასწავლო ლიტერატურის დივერსიფიცირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საგნებში საჯარო პოლიტიკის თეორია და ფორმირება; რეფორმები და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია; პოლიტიკის დაგეგმვა, რისკების მართვა და განხორციელება; განათლების პოლიტიკა და მართვა (არჩევითი) სასურველია ერთ

ლექციაზე განსახილველი საკითხების რაოდენობის შემცირება ან ლექციისთვის განკუთვნილი დროის გაზრდა.

- სასურველია სასწავლო კურსში „რეფორმები და ეკონომიკური განვითარება“ შემცირდეს სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სპეციფიკის გასათვალისწინებლად, სასწავლო უნივერსიტეტის საერთო სამაგისტრო გამოცდის გარდა, კანდიდატებს შეარჩევს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე; გამოცდა მოიცავს ზეპირ გასაუბრებას და ტესტირებას ინგლისურ ენაში; გასაუბრება ფასდები ოთხი კომპონენტით - თემატიკის ცოდნა, რაც მოიცავს შემდეგ თემებს:

დემოკრატიული მმართველობის გამოწვევები, საქართველოს ევრო-ატლანტიკური მომავალი და უსაფრთხოების დინამიკა რეგიონში; 2) ათწუთიანი პრეზენტაცია მოცემულ მასალაზე დაყრდნობით; 3) ინფორმირებულობა პროგრამის შესახებ 4) ენობრივი უნარ-ჩვევები; განსაზღვრულია მაქსიმალური და მინიმალური გადასალახი ქულები (40 და 20 შესაბამისად). კანდიდატის ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის საფუძველზეც.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სრულად შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

ინგლისური ენის ტესტი მოიცავს მოსმენას, კითხვას და წერით დავალებას; გამომდინარე პროგრამის სირთულიდან, აღნიშნული კომპონენტები შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს კანდიდატთა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის განსაზღვრას; გასაუბრება ტარდება ინგლისურ ენაზე; ინგლისური ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელსაც აქვს B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი;

სწავლის შედეგებში ძირითადი ყურადღება ეთმობა ანალიტიკურ უნარებს, დამოუკიდებლად მუშაობის უნარს, პრობლემების გადაჭრის უნარს. ზემოთ აღწერილი მიღების წინაპირობები (ათწუთიანი პრეზენტაცია, წერითი დავალება ინგლისურ ენაზე, ზეპირი კომუნიკაცია) სრულად თანხმობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების წესში მითითებულია, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში უნდა იყოს გათვალისწინებული მისაღები სტუდენტების რაოდენობა და მისი შეფარდება აკადემიურ პერსონალთან, შესაბამისად უნდა მოხდეს კანდიდატთა შერჩევა და სტუდენტთა ჩარიცხვა. ფაკულტეტის დებულების მიხედვით, ფაკულტეტის დეკანი განსაზღვრავსერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდებისთვის გამოსაცხადებელი ვაკანტური ადგილების რაოდენობისა და კოეფიციენტებს, პროგრამის ხელმძღვანელებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით და წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში განთავსდება ვებ-გვერდზე და იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი; აღსანიშნავია, ასევე, რომ პირობებში ჩამოთვლილია ზეპირი გამოცდის თემატიკა, ისე, რომ კანდიდატს აქვს საშუალება, წინასწარ მოემზადოს გამოცდისათვის; გარდა ამისა, მოცემულია შეფასების რუბრიკები როგორც ინგლისურის ტესტირების, ასევე ზეპირი გამოცდისათვის, რაც პროგრამაზე მიღების წინაპირობების სამართლიანობას ადასტურებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პროგრამა საჯარო პოლიტიკა და მმართველობა
- საჯარო პოლიტიკის და მმართველობის ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები
- ფაკულტეტის დებულება
- თვითშეფასების ანგარიში

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების წესი
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სკოლის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი კურსების ნაწილი მოიცავს პრაქტიკულ სამუშაოს. მაგალითად, კურსი დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობა, რომლის შეფასების კომპონენტები შემდეგია: ჯგუფური პრეზენტაცია, სიტუაციის ანალიზი, როლური თამაში და პრაქტიკული მუშაობა. ასევე კურსები პროექტის მართვა და საჯარო მართვა და ლიდერობა, სადაც პროექტის შემუშავება ცალკე ფასდება, ხოლო პრაქტიკული მუშაობა დასახელებულია, როგორც შეფასების დამოუკიდებელი კომპონენტი კომპლექსურ გარემოში შესაძლებელია, კურსების აბსოლუტურ უმრავლესობაში პრაქტიკულ და/ან კვლევით კომპონენტად ჩაითვალოს პრეზენტაციის მომზადება, დიდ ნაწილში კი პოლიტიკის დოკუმენტის, სტრატეგიის, პროექტის ან კვლევითი ესსეს მომზადება. მისასალმებელია, რომ პროგრამაში ისწავლება როგორც კველვის მეთოდები, ასევე მონაცემთა ანალიზი, პოლიტიკის ანალიზი და შეფასება და სხვა ინსტრუმენტები, რომლებიც კვლევითი უნარების გაძლიერებას უწყობს ხელს. ძირითადად პრაქტიკული და

კვლევითი კომპონენტები კონცენტრირებულია სამაგისტრო ნაშრომში, რომელიც მოიცავს მიღებული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ნაკრებს.

როგორც კვლევითი, ასევე პრაქტიკული სამუშაოები განკუთვნილია სტუდენტების მიერ დამოუკიდებლად შესრულებისათვის, შესაბამისად, აღნიშნული შეესაბამება სწავლების საფეხურსა და სწავლის შედეგებს.

უსდ-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პროგრამის მომზადების დროს მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული მისი ორიენტირება პრაქტიკაზე და დასაქმებაზე, როგორც საჯარო სამსახურის, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნებზე. დამსაქმებლებთან ჩატარდა როგორც ინდივიდუალური, ასევე ფოკუს-ჯგუფ შეხვედრები, რომელთა დროსაც მოხდა რამდენიმე მოდულის შემუშავება. საჯარო ინსტიტუტების გამოკითხვა ჩატარდა კითხვარების საშუალებით. უსდ-ს წარმოდგენილი აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები დამსაქმებლებთან, მაგალითად, თავისუფალი დემოკრატიული ინსტიტუტი, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI), საჯარო სამსახურის ბიურო, საქართველოს ახალი ეკონომიკური სკოლა (NESG), საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდი (GFSIS), გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. მემორანდუმებში განსაზღვრულია როგორც პრაქტიკის გავლა პროგრამის სტუდენტებისათვის, ასევე მათი ჩართვის შესაძლებლობა სხვადასხვა კვლევით საქმიანობაში, კონფერენციებსა და სემინარებში, ისევე, როგორც ვაკანსიების შესახებ სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება.

პრაქტიკის გავლა მაგისტრატურის სტუდენტებისათვის სავალდებულო არ არის, შესაბამისად, პრაქტიკა ან სტაჟირება სტუდენტს კრედიტში არ ეთვლება და არც მისი ხელმძღვანელის მიერ შეფასების წესი არსებობს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ➢ სილაბუსი: დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობა
- ➢ სილაბუსი: პროექტის მართვა კომპლექსურ გარემოში
- ➢ სილაბუსი: საჯარო მართვა და ლიდერობა
- ➢ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
- ➢ პროგრამის აღწერა და სხვა სილაბუსები
- ➢ თვითშეფასების ანგარიში
- ➢ ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან

რეკომენდაციები:

- ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები ითვალისწინებს ისეთ ფორმებს, როგორებიცაა სიტუაციის ანალიზი, კვლევითი ნაშრომის შესრულება, საჯარო სტრატეგიული თუ პოლიტიკური დოკუმენტების ანალიზი და შეფასება, დისკუსია-დებატები და იდეათა შტურმი, პროგრამული სიმულაციებისა და როლური თამაშების გამოყენება, რაც შეესაბამება როგორც პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებს (სტრატეგიის, პროექტის და პოლიტიკის სხვადასხვა დოკუმენტების შემუშავება), ასევე სამაგისტრო საფეხურისათვის შესაბამისი ცოდნისა და უნარების განვითარებას (კვლევა, ანალიზი, შეფასება, დამოუკიდებელი მუშაობა).

კურსების აბსოლუტური უმრავლესობა ითვალისწინებს ინტერაქტიური სწავლების ფორმებს, როგორებიცაა დისკუსია-დებატები, იდეათა შტურმი, ჯგუფური დავალებები. აღსანიშნავია, რომ კურსების დიდ ნაწილში სტუდენტთა ჩართულობა შეფასების ერთ-ერთ კომპონენტსაც წარმოადგენს.

პროგრამა გამიზნულია საერთაშორისო, ისევე, როგორც ადგილობრივი სტუდენტებისათვის, პროგრამა მთლიანად ინგლისურენოვანია, შესაბამისად, შეესაბამება საერთაშორისო სტუდენტების მოთხოვნებს. სტუდენტთა ინტეგრაციისათვის გათვალისწინებულია როგორც

გაცნობითი დღე, როდესაც სტუდენტებს ურიგდებათ საუნივერსიტეტო პოლიტიკის ძირითადი კომპონენტები, ასევე სხვადასხვა ტიპის კლუბები და აქტივობები.

სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე ეფექტური რეაგირებისათვის უსდ-ში მოქმედებს მენტორთა ინსტიტუტი. თითო მენტორს მაქსიმუმ 5 სტუდენტი აბარია და ის პასუხისმგებელია მათი ინდივიდუალური მოთხოვნების, პროგრამების, სწავლის მეთოდების უზრუნველყოფაზე.

დისტანციური მეთოდით სწავლება მიმდინარეობდა პანდემიის დროს. თუმცა, სტუდენტების სიმცირიდან გამომდინარე, სრულად დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის საჭიროება არ დამდგარა და ლექციები ჰიბრიდული ფორმით ტარდებოდა. სწავლების მართვის სისტემად გამოიყენება LMS და Canvas, ხოლო ლექციებისათვის გამოიყენება Google meet და Zoom პლატფორმები. იმის გათვალისწინებით, რომ ლექტორები ძირითადად პრაქტიკოსები არიან, დისტანციურად ლექციების ჩატარება ხშირად იქნება საჭირო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერა
- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სკოლის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. საჯარო პოლიტიკის და მმართველობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების კომპონენტებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

აკრედიტაციის ვიზიტისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების კრიტერიუმებისა და გასაჩივრების მექანიზმების შესახებ. სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა რომ მიიღონ დეტალური ინფორმაცია მიღებული შეფასებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც გაწერილია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში;

საჯარო პოლიტიკის და მმართველობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, პარტნიორი ბუკინგემის უნივერსიტეტის გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, გამოყენებულია ორმაგი შეფასების სისტემა, რაც გულისხმობს იმას, რომ მიმდინარე და საგამოცდო დავალებები ფასდება მინიმუმ ორი შემფასებლის მიერ. მათ შორის ქულათა განსხვავების არსებობის შემთხვევაში მოხდება განხილვა და საბოლოო შეფასების შეჯერება. შეუთანხმლებლობის შემთხვევაში ნაშრომი გადაეცემა მესამე შემფასებელს, რომლის შეფასებაც საბოლოოა. პროცესს კოორდიანაციას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი.

პლაგიატის აღმოსაჩენად დაწესებულება იყენებს სპეციალურ პროგრამას Turnitin. ნაშრომები ეგზავნება დეკანატს უპირველესად პროგრამაზე შესამოწმებლად და ამის შემდგომ პლაგიატის დაუფისქირებლობის შემთხვევაში ხდება ლექტორის მიერ ნაშრომის შემოწმება და შედეგების ასახვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ახლადჩარიცხულ სტუდენტებს სასწავლო პროცესის ძირითადი ასპექტების გაცნობის მიზნით უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა, რის შემდეგაც მათ გადაეცემათ სპეციალური საქაღალდე, რომელშიც მოცემულია საჭირო ინფორმაცია საუნივერსიტეტო სივრცეში ორიენტირებისათვის. აღნიშნული გზამკვლევები და დოკუმენტები ასევე განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. ფაკულტეტის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი ახალჩარიცხული სტუდენტებისთვის ატარებს პროგრამის პრეზენტაციას, სადაც სტუდენტს შეუძლია დეტალურად გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამას, დაუსვას კითხვები როგორც ადმინისტრაციის წევრებს, ასევე პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს. საორიენტაციო შეხვედრაზე სტუდენტს გადაეცემა საუნივერსიტეტო მეილი, რაც იძლევა შესაძლებლობას სტუდენტი სრულფასოვნად იყოს ინტერგრირებული შიდა საუნივერსიტეტო საინფორმაციო სივრცეში და მიეწოდოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც შიდა ქსელებით ვრცელდება. სტუდენტებთან, წლის დასაწყისში საინფორმაციო შეხვედრას მართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიც, რომელიც სტუდენტებს აცნობს უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებს. სასწავლო კურსების გავლის ფარგლებში, სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალური კონსულტაციები მიიღოს თითოეული კურსის ლექტორისგან. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში, სადაც მითითებულია ლექტორების საკონსულტაციო საათები (საშუალოდ 5 საათი, შესაძლებელია იყოს მეტი ან ნაკლები საჭიროებიდან გამომდინარე). საკონსულტაციო შეხვედრების განრიგი წინასწარ არის გაწერილი ლექტორებთან შეთანხმებით და გაზიარებულია სტუდენტებთან. გარდა ამისა, სტუდენტს ენიშნება პერსონალური მენტორი, რომლის ფუნქციაა სტუდენტის დახმარება ნებისმიერი მიმართულებით, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს მის კარიერას, სწავლასა და წარმატებას.

პერიოდულად ტარდება საჯარო ლექცია/სემინარი, რომლის მიზანია უნივერსიტეტის სტუდენტებს დამატებითი წვდომა ჰქონდეთ როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მნიშვნელოვან საკითხებსა თუ მოვლენებზე.

სტუდენტების კვლევითი, ორგანიზაციული და პროექტების მართვის მიმართულებით დამატებითი ცოდნის შესაძენად და შესაბამისი უნარ-ჩვევების განსავითარებლად, კვლევებისა და პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტში შექმნილია შიდა გრანტების პროგრამა სტუდენტური პროექტებისთვის. უნივერსიტეტის ფარგლებში არსებობს ვაჟა-ფშაველას სახელობის ფონდიც, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს ისარგებლონ მათ საჭიროებებზე მორგებული, ინდივიდუალური მხარდაჭერით.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური სისტემატურად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდებას საერთაშორისო პროექტების, კონფერენციების, დასაქმების შესაძლებლობების შესახებ.

გარდა ამისა, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბი, მათ შორის, იოგის, კალათბურთის, ფეხბურთის, ჩოგბურთის, ჭადრაკის, ფილმების, თეატრის, მუსიკისა და წიგნის კლუბები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის დებულება;
- ვაჟა-ფშაველას ფონდის დებულება - https://www.britishuni.edu.ge/ge/blog/view/130/vazhafshavelas-fondi
- უნივერსიტეტის ვებგვერდი www.britishuni.edu.ge;
- ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტური გრანტების გაცემის წესი.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამდააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს „სამაგისტრო ნაშრომისა და პროექტის შესრულების“ წესი, რომელიც განსაზღვრავს მაგისტრანტის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის, დანიშვნის, შეცვლის, უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის /თანახელმძღვანელობის პროცესს. სამაგისტრო ნაშრომის თემის, პროექტის და შესაბამისი სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევა ხდება შესაბამისი სემესტრის დასაწყისში და დაწყებიდან არაუგვიანეს ორის კვირის ვადაში მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოზე. ამ მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სტუდენტებს საჭირო კონსულტირებით და ორგანიზებას უწევს ზემოაღნიშნული წესით განსაზღვული ფორმების შევსებას. მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღანელი. სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი. ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს ერთდროულად არაუმეტეს 3 ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი მოიაზრებს ხელმძღვანელთან ყოველკვირეულ შეხვედრას ორი საათის განმავლობაში.

იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტი თავდაპირველად გეგმავს პროგრამაზე 25 სტუდენტის მიღებას, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა აკმაყოფილებს უნივერსიტეტის შიდა რეგულაციით დადგენილ მოთხოვნებს.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	13
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	-
თანაფარდობა	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

• სამაგისტრო ნაშრომისა და პროექტის შესრულების წესი;

•ინტერვიუს შედეგები;

•პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV;

•უნივერისტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რიცხვია 22, მათ შორის 7 აკადემიური და 15 მოწვეული პერსონალი. აკადემიურ პერსონალს შორის 2 პროფესორი (მათ შორის 2 აფილირებული პროფესორი), 3 ასოცირებული პროფესორი (სამივე აფილირებული ასოცირებული პროფესორი), 2 ასისტენტ-პროფესორი (მათ შორის 1 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი).

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე როგორც აკადემიური ასევე მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისია პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამის სასწავლო შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავებისათვის დასტურდება შესაბამისი დიპლომებით, სერტიფიკატებით, ნაშრომებით და პრაქტიკული გამოცდილებით.

პროგრამის ხელმძღვანელის გამოცდილება შესაბამისია პროგრამის შემუშავებისა და მართვის საჭიროებებთან. მას აქვს მრავალწლიანი გამოცდილება საჯარო სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობის მიმართულებით.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი, ფაკულტეტის დეკანი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური (2 თანამშრომელი), ბიბლიოთეკა (2 თანამშრომელი), საგამოცდო ცენტრი (1 თანამშრომელი), საერთაშორისო თანამშრომლობის სამსახური (1 თანამშრომელი), ადამიანური რესურსების მართვის სამსახური (1 თანამშრომელი), კვლევებისა და პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტი (1 თანამშრომელი), ჯამში 10 ადმინისტრაციული პერსონალი.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**22**			
- პროფესორი	2	1	1	2
- ასოცირებული პროფესორი	3	2	1	3
- ასისტენტ-პროფესორი	2	-	-	1
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	15	10	-	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის პირადი საქმეები
- თვითშეფასების ანგარიში
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის შესახებ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირად საქმეებზე, სასწავლო კურსების სილაბუსებზე დაყრდნობით, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან და მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც რეგულარულ კონსულტაციებს უწევენ სტუდენტებს მათივე სასწავლო-კვლევითი საჭიროებებიდან გამომდინარე. მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუმ გამოკვეთა, რომ სასწავლო პროცესის განმავლობაში სტუდენტებს სისტემატური შეხვედრები აქვთ, როგორც ნაშრომის ხელმძღვანელთან, ისე პროგრამის ხელმძღვანელებთან.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება იძლევა კარგ სინთეზს საიმისოდ, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის შემთხვევაში სტუდენტმა მიიღოს საუკეთესო კონსულტაცია და აკადემიური დახმარება საკვლევი თემის გარშემო ახლებური ხედვების ჩამოსაყალიბებლად.

სამაგისტრო ნაშრომის თემის, პროექტისა და ხელმძღვანელის შერჩევა ხდება სემესტრის დასაწყისში, რაც მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბრიტანული უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით	მათ შორის აფილირებული

ხელმძღვანელთა რაოდენობა		დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	22		
- პროფესორი	2	1	2
- ასოცირებული პროფესორი	3	1	3
- ასისტენტ-პროფესორი	2	-	1
მოწვეული პერსონალი	15	-	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
- სამაგისტრო ნაშრომისა და პროექტის შესრულების წესი
- პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის პირადი საქმეები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☒	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, შექმნილია კვლევებისა და პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტი (Advance Research and Policy Development Institute), რომელიც გეგმავს, ახორციელებს და კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურების (მათ შორის, კვლევითი საქმიანობის დამფინანსებელ ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობა), ინტერნაციონალიზაციის (პარტნიორი უნივერსიტეტების აკადემიურ პერსონალთან ერთობლივი კვლევითი პროექტების ინიცირება) და მასში აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების ჩართვის პროცესს.
2022 წლის, 22-27 სექტემბერს, კვლევებისა და პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტმა, უმასპინძლა პროექტ მორდორის დელეგაციას. M.O.R.D.O.R. არის Erasmus+ პროექტი, რომელიც თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, რომელიც ორიენტირებულია ავტორიტარიზმის შესახებ განათლების გაუმჯობესებაზე და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის დაინტერესებული მხარეებისთვის რეკომენდაციების მომზადებაზე დემოკრატიის მხარდაჭერასთან დაკავშირებით. აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო უსდ-ს აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, როგორც ინდივიდუალური ინტერვიუების ნაწილში ასევე სპეციალურ მასტერკლასებში.

კვლევითი პოტენციალის განვითარებისათვის უსდ-ში ამოქმედებულია შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო სისტემა რაც განკუთვნილია აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის.

უსდ-ს ბაზაზე ასევე ჩამოყალიბდა ელექტორნული სამეცნიერო ინგლისურენოვანი ჟურნალი, Georgian Political Science Review, რაც დამატებით შესაძლებლობებს სთავაზობს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს.
გარდა ამისა უსდ სისტემატურად ატარებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვას პროფესიული განვითარების მიმართულებით არსებული საჭიროებების შესახებ და გამოკითხვის შედეგების საფუძველზე გეგმავს შესაბამის სემინარებსა და ტრენინგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამაზე თანდართული დოკუმენტაცია
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზიტის განხორციელებისას ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მიეცა ადგილზე, უშუალოდ უნივერსიტეტის შენობაში ენახა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომლის გამოყენებაც დაგეგმილია მოცემული პროგრამის განხორციელების ეტაპზე. სასწავლო სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, უნივერსიტეტის შენობაში არსებობს სივრცე, როგორც დამოუკიდებელი, ასევე ჯგუფური მუშაობისთვის. მრავლად არის ღია სივრცე სტუდენტებისთვის, რომელიც მთლიანობაში საკმაოდ კომფორტულ გარემოს ქმნის.

ვიზიტის განხორცილების ეტაპზე საბიბლიოთეკო ფონდი ნაწილობრივ ფარავს სასწავლო კურსებით გათვალისწინებულ ძირითად ლიტერატურას. როგორც აღმოჩნდა ინსტიტუციას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (დაახლოებით 20 000 ლარის ღირებულებით) ძირითადი ლიტერატურის შესყიდვის თაობაზე და ელოდება ლიტერატურის მოწოდებას. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ლიტერატურის მოწოდების სავარაუდო დრო გახლავთ 2023 წლის მეორე კვარტალი, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს არ მიეცა საშუალება ადგილზე ენახა აღნიშნული ლიტერატურა. აქვე, აღსანიშნავია, რომ წიგნების

მომწოდებელი კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი და უნივერსიტეტის რექტორი გახლავთ ერთი და იგივე პიროვნება, რაც მართალია წინააღმდეგობაში არ მოდის კანონმდებლობასთან (უნივერსიტეტის სტატუსიდან გამომდინარე), თუმცა გაუგებარია, თუ წიგნების მოწოდება არ მოხდება წინასწარ განსაზღვრული ვადით, რა მოტივაციის საფუძველზე დაიწყებს დამკვეთი შესაბამის პროცესს, როდესაც შემსრულებელიც და დამკვეთიც ერთი და იგივე პიროვნებაა. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასურველია, სამომავლოდ ხელშეკრულების გაფორმების პროცესში მხედველობაში იქნეს მიღებული აღნიშნული გარემოება. იმის გათვალისიწნებით, რომ ლიტერატურის უმრავლესობა, ჯამში 77 დასახელება, ამ ეტაპზე არ არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას, სტადნარტის ეს ნაწილი მიიჩნიოს, როგორც მოთხოვნებთან სრულად შესაბამისი.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე დაინტერესდა რა შესაძლებლობი არსებობდა სამეცნიერო ბაზებზე წვდომის თვალსაზრისით. როგორც ირკვევა, მიმდინარე წელს უნივერსიტეტს აქვს წვდომის უფლება რამდენიმე სამეცნიერო ბაზაზე, აქედან უნივერსიტეტის მიღმა ხელმისაწვდომია მხოლოდ სამი, ხოლო დანარჩენით სარგებლობა დასაშვებია უშუალოდ უნივერსიტეტის სივრციდან. წარმოდგენილი სამეცნიერო ბაზები ფარავს მათ შორის მოცემული სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებსა და თემატიკას.

ექსპერტთა ჯგუფი შეეცადა დაედგინა, რა მომსახურებას სთავაზობს ბიბლითეკა სტუდენტებს რესურსებით სარგებლობის მიმართულებით. აღნიშნულთან დაკავშირებით ბიბლიოთეკა განმარტავს, რომ ისინი საორიენტაციო შეხვედრისას აცნობენ სერვისების შესახებ ინფომაციას და ასევე, პირად ელექტორნულ ფოსტაზე უგზავნიან. ექსპერტთა ჯგუფმა იგივე შეკითხვით მიმართა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებს. ისინი ადასტურებენ, რომ ინსტრუქცია მიიღეს საორიენტაციო შეხვედრის დროს და ასევე აღნიშნავენ, რომ საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციას იღებენ ბიბლიოთეკის თანამშრომლისგან. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად დაათვალიერა ბიბლიოთეკის სივრცე დაწესებულების ვებ-გვერდზე და დაადგინა, რომ სამენციერო ბაზების გამოყენების ინსტრუქცია არ არის ცხადად წარმოჩენილი. ამ მოცემულობით, სტუდენტს თუ აკადემიურ პერსონალს, გაუჭირდება დამოუკიდებლად მიხვდეს კონკრეტული ბაზებით სარგებლობის წესებს. ვებ-გვერდზე განთავსებულია ბმულები, თუმცა არ არის ინფომაცია უშუალოდ გამოყენების წესის შესახებ. შესაბამისად, ექსპერთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდებულია, ბიბლიოთეკამ სამენციერო ბაზების გამოყენების ინსტრუციები ვებ-გვერდზე განათავსოს ღიად, ყველასთვის ხელმისაწვდომ რეჟიმში, რათა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ხელი მიუწვდებოდეს აღნიშნულზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი
- ლიტერატურის შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულება
- სამეცნიერო ბაზებზე წვდომის უფლების დამადასტურებელი ხელშეკრულება
- დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტი
- ინტერვიუს შედეგები
- დაწესებულების ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულების ვებ-გვერდზე, ბიბლიოთეკის ნაწილში სამენციერო ბაზების გამოყენების წესის შესახებ არსებობდეს ინფორმაცია (წვდომის რა მექანიზმები არსებობს, როგორ უნდა მოიქცეს დაინტერესებული პირი), რათა ნებისმეირმა სტუდენტმა და/ან პროფესორმა მოახერხოს მოცემული რესურსებით სარგებლობა და გამოყენებისას ყოველ ჯერზე არ მოუხდეს ბიბლიოთეკის თანამშრომელთან კომუნიკაცია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ლიტერატურის შესყიდვის (ან ნებისმიერ სხვა შესყიდვისას) პროცესში მინიმუმადე იქნეს დაყვანილი ინტერესთა კონფლიქტის გარემოება, რაც საფრთხის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს მთლიანად პროცესისთვის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☐	☒	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგამაზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგები ცხადყობს, რომ პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის გარდა, პროგრამის დაფინანსების წყაროა ასევე უსდ-ს სარეზერვო ფონდში არსებული თანხები. უსდ ასევე უზრუნველყოფს კვლევითი საქმიანობის, მათ შორის რეფერირებადი სტატიებისა და მონოგრაფიების გამოქვეყნების ხარჯებისა და შესაბამის თემატურ კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯების დაფარვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი
- თვითშეფასების ანგარიში
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ მოცემულ საგანამანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გამოიყენება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ის სტანდარტული მიდგომები, რომელიც არსებობს უნივერსიტეტში. კერძოდ, აღნიშნული პროცესი მოიცავს - „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლს. ეს პროცესი მოიცავს, როგორც პერსონალის შეფასებას, ასევე, სტუდენტთა გამოკითხვის ფორმების ანალიზს. მიღებული შედეგების საფუძველზე, ხარისხის სამსახური წარადგენს რეკომენდაციებს პროგრამის ხელმძღვანელთან და უნივერსიტეტის მართველ ორგანოსთან, რის საფუძველზეც საჭიროების შემთხვევაში იგეგმება ინტერვენციები.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა რა ფორმით იგებს აკადემიური პერსოანლი მათი სასწავლო კურსების შეფასების შედეგებს და მიმდინარე საანგარიშო პერიოდში თუ ყოფილა შემთხვევა მათი მხრიდან ცვლილებების ინიცირებისა. მოცემული კითხვის პასუხად დადგინდა, რომ სტუდნტები კონკრეტული სასწავლო კურსების შეფასებას ახორციელებენ სემესტრის ბოლოს, ხოლო, აღნიშნული შედეგები პერსონალისთვის ხელმისაწვდომი ხდება სემეტრის დასრულების შემდგომ. კითხვარების შევსება ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს.

მომიმჯნავე პროგრამაზე სტუდნეტების მცირე რაოდენობის გათვალისიწინებით დაიგეგმა ფოკუს ჯგუფიც, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტები მოწმობს, სტუდენტების უმრავლესობა პოზიტიურად აფასებს პროგრამას. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში ჩართულნი არიან, როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი, ფაკულტეტის დონეზე და საუნივერსიტეტო სერვისების მიმწოდებელი სტრუქტურული ერთეულიდან. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა თვითშეფასების პროცესში ჩართულ პერსონალს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
- სტუდნეტთა კმაყოფილების კვლევა - შედეგები
- ინტერვიუების შედეგი
- დაწესებულების ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის გარე ხარისხის შეფასბის მექანიზმად მოიაზრება უნივერსიტეტის ავტორიზაციის და კონკრეტული პროგრამის აკრედიტაციის პროცესი. გაცემული რეკომენდაციების საპასუხოდ, დგება სამუშაო ჯგუფი პროგრამის დონეზე, რომელიც განიხილავს რეკომემნდაციების შესრულების ნაწილს და ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცების შემდეგ, საჭიროებისამებრ ცვლილებებს წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. აღნიშნული წესი მოქმედებს დაწესებულებაში სხვა საგანამანათლებლო პროგრამებზე, შესაბამისად, სავარაუდოა, რომ მოცემული პროგრამის შეთხვევაშიც იგივე მიდგომები გაგრძლედება. ამას ადასტურებს ინტერვიუები ადმინისტრაციულ და აკადემიური პერსონალთან.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწმობს, საგანამანთლებლო პროგრამა განმავითარებელი, კოლეგიური შეფასებისთვის გაეგზავნა რამსფელდის სასტიპენდიო პროგრამის დირექტორს. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეგიურ შეფასებას, სადაც ძირითადად, დადებითად იყო შეფასებული პროგრამა და მისი ცალკეული კომპონენტები. ინტერვიუების დროს, პროგრამის ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ მომავალშიც იგეგმება მსგავსი სახის შეფასების გაკეთება, პროგრამის შინაარსობრივი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

- გარე ექსპერტის შეფასება
- ინტერვიუების შედეგი
- დაწესებულების ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწმობს, პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება მიმდინარეობს უნივერსიტეტში მოქმედი წესებისა და პროცედურის დაცვით. აღნიშნულ პროგრამის განვითარების მიზნით სამომავლოთაც იგეგმება როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართვა. როგორც წესი, მათთან შეხვედრების საფუძველზე გამოიკვეთება საჭიროებები, რომლის განხილვაც ხორციელდება პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში, შემდეგ ფაკულტეტის დონეზე და ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში, დასამტკიცებლად წარედგინება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს.

ექსპერტთა ჯგუფი ინტერვუიების დროს შეეცადა გადაემოწმებინა, თუ რამდენად ეფექტური იყო მომიჯნავე პროგრამის სტუდენტების, აკადემიური პერსოლანალის და დამსაქმებლების ჩართულობა ამ პროცესში. მათთან გასაუბრება ცხადყო, რომ:

- იქიდან გამომდინარე, რომ მოცემულ პროგრამაზე ჯერ სტუდენტებს სწავლა არ დაუწყიათ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა მომიჯნავე პროგრამის (ბრიტანეთის კვლევები) სტუდენტებს. ისინი ღიად საუბრობენ მათ საჭიროებებზე, არსებულ გამოწვევებზე, მათი სასწავლო პროგრამის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. ისინი

აღნიშნავენ, რომ უკუაკვშირის/შეფასების მიზნით გამოიყენებენ კითხვარებს, რომელსაც ყოველ სემესტრში ავსებენ, თუმცა გამოყოფენ შესაძლებლობას, რომ მათ შეუძლიათ პირდაპირი კომუნიკაცია პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან და მუდმივად განიხილავენ პროგრამის განხორციელების ნიუანსებს. რაგდან პროგრამაში სტუდენტების რაოდენობა არ არის დიდი (ორივე კურსზე ჯამურად 6), არაფორმალური კომუნიკაცია რიგ შემთხვევებში უფრო ეფექტურად გამოიყენება.

- დამსაქმებლები მიუთითებენ კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომელიც პროგრამის გაცნობის ეტაპზე ჰქონდათ და რაც წარმოდგენილ პროგრამაში უკვე აისახა. ექსპერტთა ჯგუფი შეხვედა დამსაქმებლებს, ძირითადად საჯარო/საბიუჯეტო ორგანიზაციების და არასამთავრო სექტორის წარმოამდგენლებს. ისინი აღნიშნავენ, რომ წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, მათ ხვდება პროგრამის ხელმძღვანელი და განიხილავს კონკრეტულ საკითხებს, რაც მოცმეული პროგრამის გაუმჯობესებისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

როგორც აკადემიური პერსონალი და პროგრამის ხელმძღვანელი განმარტავს, პროგრმაის დადარება მოხდა საქართველოში არსებული უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულებების იმავე შინაარსის დაახლოებით ათ პროგრამასთან. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა თუ განხორციელდა რაიმე ცვლილება დადარების პროცესის შემდეგ, როგორც აღმოჩნდა, კონკრეტული სასწავლო კურსების დამატების ან პროგრამიდან ამოღების საჭიროება, სწორედ ამ დადარების პროცესმა უზრუნველყო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- დამსაქმებლის გამოკითხვის ფორმა და შედეგები
- სტუდენტების გამოკითვის ფორმები
- ინტერვიუების შედეგი
- დაწესებულების ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.3 პროგრამის მონიტორინგი და	☒	☐	☐	☐

პერიოდული შეფასება

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: საჯარო პოლიტიკა და მმართველობა, მაგისტრატურა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო ფარსადანიშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ნინო დოლიძე

გიგა ხოსიტაშვილი

გიორგი ფარეშიშვილი